# ხელშეკრულება № 48

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი                                                                 ივნისი, 2022 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი - (შემდგომში – "შემსყიდველი"), მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ვახტანგ კახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ახალი ნათება" (შემდგომში – "მიმწოდებელი"), მისი აღმასრულებელი დირექტორის - თემურ არდოტელის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" პრიმა ქვეპუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება")-შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. "დღე","კვირა","თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ავტომატური ამომრთველების (CPV-31212000, წრედის გამთიშველები/ავტომატური ამომრთველები) (463.50 ლარი), როზეტების, ჩამრთველების, ჩარჩოების (CPV-31220000, ელექტროწრედის კომპონენტები) (131.85 ლარი) და ნათურების (CPV-31531000, ნათურები) (2132.28 ლარი) მიწოდების შესყიდვა, დანართი №1 მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

**3.1.** შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
**3.2.** შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – 2727 (ორი ათას შვიდას ოცდაშვიდი) ლარს და 63 თეთრს. (მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

**4.1.** მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

**5.1.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა არის არაუგვიანეს 2022 წლის 25 ივნისი.
**5.2.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 116.
**5.3.** შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
**6.2.** შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ვახტანგ კახიძე.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

**7.1.** მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
**7.2.** შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
**7.3.** ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**8.1.** "შემსყიდველს" უფლება აქვს:
- საქონლის მიწოდებისას შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

**8.2.** "შემსყიდველი" ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

**8.3.** მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**8.4.** მიმწოდებელი ვალდებულია:

- მოახდინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

**9.1.** მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
**9.2.** თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა), თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
**9.3.** ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
**9.4.** ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

**10.1.** ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2022 წლის 30 ივლისი.

## *11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

**11.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
**11.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. ფორს-მაჟორი

**12.1.** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
**12.2.** თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
**12.3.** მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

**13.1.** ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
**13.2.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

**14.1.** "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
**14.2.** ხელშეკრულების ინსპექტირებას "შემსყიდველი"-ს მხრიდან განახორციელებს – დავით მაჭარაშვილი, ცენტრის წარმომადგენელი.
**14.3.** მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია შეამოწმოს მისაწოდებელი პროდუქცია საქონლის მიწოდებისას და თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის ობიექტი უხარისხოა (წუნდებული) მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს წუნი.
**14.4.** გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

**15..1** მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
**15.2.** არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
**15.3.** მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
**15.4**. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
**15.5.** წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

სსიპ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი

სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ს / კოდი: 202055319

ვახტანგ კახიძე

სამხატვრო ხელმძღვანელი

**მიმწოდებელი:**

შპს „ახალი ნათება“
ქ. თბილისი, წერეთლის 116
ტელ.: 598 18 15 80
ს/ს „პროკრედიტ ბანკი“ ც/ფ
MIBGGE22/ ა/ა GE74 PC00 5360 0100 0131 79
ს / კოდი: 202 066 156

თემურ არდოტელი

აღმასრულებელი დირექტორი

New Light LLC
Digitally signed by New Light LLC
Date: 2022.06.13 17:26:29 +04'00'

დანართი №1

| № | დასახელება | CPV - კოდი | რაოდენო | ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომატური ამომრთველი GW91509 RB60 MCB 1P C25 6KA 1M | 31212000 | 10 | 9.45 ლარი | 94.5 ლარი |
| 2 | ავტომატური ამომრთველი GW91573 RB60 MCB 3P C63 6KA 3M | 31212000 | 5 | 57.6 ლარი | 288.00 ლარი |
| 3 | ავტომატური ამომრთველი GW91530 RB60 MCB 1P + N C32 6KA 2M | 31212000 | 2 | 17.10 ლარ | 34.20 ლარ |
| 4 | ავტომატური ამომრთველი GW91533 RB60 MCB 1P + N C63 6KA 2M | 31212000 | 2 | 23.40 ლარ | 46.80 ლარ |
| 5 | როზეტი დამიწებით თეთრი (2P + E - 16A) VIKO KARRE | 31220000 | 10 | 6.12 ლარი | 61.20ლარი |
| 6 | ჩამრთველი 2 ღილაკიანი თეთრი (250V 10A) VIKO KARRE | 31220000 | 5 | 6.03 ლარი | 30.15 ლარ |
| 7 | ჩამრთველი 1 ღილაკიანი თეთრი (250V 10A) VIKO KARRE | 31220000 | 5 | 4.95 ლარი | 24.75 ლარ |
| 8 | ჩარჩო 2 - ანი თეთრი ჰორიზონტალური VIKO KARRE | 31220000 | 5 | 3.15 ლარი | 15.75 ლარ |
| 9 | Ecohome LED Bulb 13W 1250lm E27 865 RCA 8719514382558/ D213/ | 31531000 | 60 | 6.30 ლარი | 378.00 ლა |
| 10 | ნათურა ESSLEDLustre 6W 620lm E14 840 P45NDFRRCA PHILIPS 8719514312906 (8625) /E203-E214/ | 31531000 | 36 | 5.85 ლარი | 210.60 ლა |
| 11 | ნათურა E 27/40W გამჭვირვალე PHILIPS 8711500354532 /D208/ | 31531000 | 120 | 1.80 ლარი | 216.00 ლა |
| 12 | ნათურა ESSLEDLustre 6W 620lm E27 840 P45NDFRRCA PHILIPS 8719514312883 / E217/ | 31531000 | 48 | 6.12 ლარი | 293.76 ლა |
| 13 | ნათურა LSMR 1660110 6,5W/830 230VG OSRAM 4058075480551 | 31531000 | 50 | 5.40 ლარი | 270.00 ლარი |
| 14 | ESSLEDCandle 6W 620lm E14 840 B35NDFRRCA PHILIPS 87 195 143 128 21 (8663) / F 207-D210/ | 31531000 | 36 | 6.12 ლარი | 220.32 ლა |
| 15 | LEDCeiling - U2 -Rd200 - 10W -857 - White - GP OPPLE (HC200 5700K) 6941491702063 /E103/ /S505/ | 31531000 | 10 | 33.30 ლარ | 333.00 ლა |
| 16 | BVP156 LED80/CM 220-240 100W WB PHILIPS 8719514500259 /E210/ /S840/ | 31531000 | 2 | 105.30 ლარი | 210.60 ლა |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | ჯამი | | | | 2727.63 ლარი |

ვახტანგ კახიძე

სამხატვრო ხელმძღვანელი

თემურ არდოტელი

აღმასრულებელი დირექტორი